137/1946/2

ოქტომბერიელი

1946 10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

საბავშვო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

№10
ოქტომბერი
1946
წელიწადი მეთექვსმეტე

ოქტომბრელი

საქართველოს ასკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

„Октомбрели" ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

გამომცემლობა
„კომუნისტი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

შინაარსი

	გვ.
რ. მარგიანი—საჩუქრებით (ლექსი)—ნახ. რ. სტურუასი	1
ს. კლდიაშვილი—გივის თავგადასავალი (მოთხრობა)—ნახ. შ. ცხადაძისა	2
ზ. ჭუმბურიძე—ვანოს მამა (ლექსი)	3
გ. კაჭახიძე—შემოდგომა (ლექსი)—ნახ. ვ. ჯაფარიძისა	4
ნ. ჩაჩავა—მშიშარა ფიდო (ლექსი)	4
ბ. ჩხეიძე—ჭკვიანი პასუხი (იგავი)—ნახ. გ. გულისაშვილისა	5
იშვითი გადარჩენა (ნამდვილი ამბავი)	5
მ. ლეჟავა—კეთილი გლეხი (ძველი დროის ამბავი)—ნახ. ლ. გუდიაშვილისა	6
მექუდე და მაიმუნები	7
გ. აბაშიძე—სტუმარ-მასპინძლები (ლექსი)—ნახ. შ. ცხადაძისა	8
ე. ზედგინიძე (პოლუმორდვინოვი)—გულუბრყვილო ნანა (მოთხრობა)—ნახატები გ. თაგორაშვილისა	10
გ. ივანიშვილი—ბოროტი და ძუნწი (ზღაპარი)—ნახ. ლ. გუდიაშვილისა	13
კ. გოგიაშვილი—ცუგო და ფისო (იგავი)—ნახ. ვ. ერისთავისა	15
ი. კრილოვი—მელა და ყურძენი (იგავი) თარგმანი აკაკისა	გარეკანის მე-4
გასართობი	16
გამოცანები	გარეკანის მე-3
ანდაზები	გარეკ. მე 3
რებუსი	გარეკ. მე-3

ყდაზე—„მელა და ყურძენი" შესრულებულია
მხატვარ ს. გაბაშვილის მიერ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ./მგ. რედაქტორი), ი. ხიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

4183

საჩუქრებით

— ბებიკონა, გენაცვალე,
ხათუნასთან წამოგყვები.
მარტო როგორ უნდა ზიდო
ამოდენა საჩუქრები:
კომში, ვაშლი და ყურძენი,
დაშაქრული ჩურჩხელები?!.
დაითანხმა ბებიკონა,
გასჭრა თხოვნამ და მუდარამ
და ბებისთან ერთად გიამ
ბარგის შეკვრა მოაგვარა.

— ეს ხათუნას, ეს კი თამარს,
ასე არ სჯობს, ბები, განა? —
და დაშაქრულ აკიდოებს
გიამ ხელი წაატანა.
დილით თბილისს ჩამოვიდნენ
ცელქი გია, მისი ბები, —
და ხათუნამ გაიხარა
შემოდგომის საჩუქრებით.

რევაზ მარგიანი
ნახატი **რობერტ სტურუასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივის თავგადასავალი

ზღუთხრობა

პატარა გივი სკოლიდან მხიარული ბრუნდებოდა. ვერ წარმოედგინა, თუ რა სამწუხარო ამბავი ელოდა შინ: დედა მისმა უცაბედათ ხელი წამოჰკრა ცხელი წყლით სავსე კასრს და ორივე ხელი დაიდუღრა.

ამ დროს, ბედათ, გივის დედასთან სტუმრად ერთი დედაკაცი მივიდა. დედაკაცს შეეცოდა გივის დედა, მოუყვანა ექიმი, შემდეგ აფთიაქიდან მალამოც მოუტანა და ტკივილი დაუამა.

— შვილი და ქმარი მალე შინ დაბრუნდებიან და სადილი კი არ ექნებათ! — ამასლა ნაღვლობდა ავადმყოფი. — აღარ ვიცი რა ვქნა, ამ მტკივანი ხელებით, აბა, რა უნდა გავაკეთო!

— ნუ სწუხარ! — უთხრა დედაკაცმა, — შენს მაგიერ მე წავალ ბაზარში, გიყიდი სანოვაგეს და სადილსაც გაგიკეთებ!

*
* *

სკოლიდან მომავალი გივი ტრამვაის გაჩერებასთან დაემშვიდობა ამხანაგებს და ვაგონში შეხტა.

გივისთან ერთად ვაგონში დიდის გაჭირვებით შევიდა ვიღაც მოხუცი ქალი, ხელში მას პატარა ჩანთა ეჭირა.

მოხუცი ქალი დაღლილი იყო და აქეთ-იქით იცქირებოდა, იქნებ სადმე დასაჯდომი ადგილი იქნესო.

მეორე გაჩერებაზე, მართლაც, ადგა ვიღაც მგზავრი. მოხუცმა დედაკაცმა მიაშურა იმ ადგილს, მაგრამ სანამ მივიდოდა, გივიმ მიასწრო და ჩამოსკუნდა. მოხუცი ქალი ისევ ფეხზე დარჩა.

გივიმ ურცხვად შეხედა, ჩაიცინა და გაიფიქრა: „ბებრუხანავ, შენ როგორ მიმასწრებდი ამ ადგილზეო?!“

ერთ ადგილას ტრამვაის ვაგონი ძალზე შექანდა და ის მგზავრები, რომელნიც ფეხზე იდგნენ, ერთმანეთს მიეჯახნენ. ამავე დროს, გივიმ დაინახა, რომ მოხუცი ქალი დაბარბაცდა და ხელიდან ჩანთა გაუვარდა, ჩანთიდან გადმოცვივდა პომიდორი, ხორცი, ხილი და ყველაფერი მიმოიფანტა.

შეწუხებულმა დედაკაცმა, როგორც იქნა, დიდის ვაი-ვაგლახით აბოჯა დაფანტული სანოვაგე, გივი კი ისევ ღიმილით უცქერდა ამ ამბავს და ისევ არხეინად იჯდა.

*
* *

შინ მისვლისას გივიმ გაიგო, რაც მომხდარიყო.

— კიდევ გტკივა? — ეკითხებოდა ნაღვლიანად თავის დედას, — წავალ, ახლავე ექიმს მოგიყვან!

— საჭირო არაა, — დაამშვიდა დედამ, — აქ ერთი კეთილი მოხუცი იყო, მან უკვე მომიყვანა ექიმი, მალამოც მომიტანა და სადილსაც იგი გაგიკეთებთ.

სთქვა ეს თუ არა, შესასვლელში ზარის ხმა გაისმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კარი გააღე, შვილო, — უთხრა დედამ გივის, — ალბათ ის მადლიანი ქალი დაბრუნდა!

გაიქცა გივი, გააღო კარი და, რას ხედავს! შემოვიდა სწორედ ის მოხუცი დედაკაცი, რომელსაც ტრამვაიში ამდენი გასაჭირი გადახდა და მთელი გზა დასცინოდა.

*
* *

მოხუცმა ქალმა იმ დღეს გემრიელი სადილი გააკეთა, დაემშვიდობა დედას, გივისაც .მიუალერსა და წავიდა.

გივიმ არაფერი არ უთხრა თავის დედას და მთელი დღე უგუნებოთ დადიოდა.

ნასადილევს, როცა გაკვეთილების მოსამზადებლად დაჯდა, თვალი გადაავლო კედელზე ჩამოკიდებულ დიდი ძია სტალინის სურათს. გივის უეცრად ეჩვენა, რომ სურათი საყვედურით შესცქეროდა, თითქო ეუბნებოდა:

„აბა, დაფიქრდი, განა, ამ დილით შენი საქციელი კარგი იყო? განა, ასე უნდა მოექცე შენზე უფროს ადამიანს?“

გივიმ წუთით თვალი შეაჩერა სურათზე აღბეჭდილ საყვარელ სახეს, შემდეგ მორცხვად დახარა თავი და ჩუმად, თითქო თავისთავს ეუბნებოდა, ჩაილაპარაკა:

— ცუდად მოვიქეცი, საყვარელო დიდო ძია... ძალიან მრცხვენია. სიტყვას გაძლევ, ამიერიდან ასეთი სამარცხვინო რამ არ ჩავიდინო. ყველას, ვინც არ უნდა იყოს — დიდი თუ პატარა, პატივისცემით და თავაზიანად მოვეპყრობი და შენს საყვედურს ამის მეტად აღარ დავიმსახურებ.

სერგო კლდიაშვილი

ნახატები **შალვა ცხადაძისა**

ვანოს მამა

ვანოს მამა ომში იყო,
მტერს მუსრავდა ოთხი წელი,
არ დაღლილა, არც დაჭრილა
ჩვენი დიდი ქვეყნის მცველი.

ახლა შრომობს, რომ სამშობლო
კიდევ უფრო დავამშვენოთ,
რაც მტრის ხელმა დაგვინგრია,
ხელმეორედ ავაშენოთ.

ხოლო ვანოს მამიკოსთან
პირობა აქვს დადებული:
კარგი სწავლით, კარგი ქცევით
გაახაროს მშობლის გული.

ზურაბ ჭუმბურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომა

მერცხლებს ბუდე დაუცლიათ,
შოშიებიც არსად სჩანან.
ცივმა ქარმა დაუქროლა
შეევითლებულ ტყეს და ჭალას.

სოფელს ხილი მოემალა
მეტად კარგი, მეტად ბევრი;
ზოგან ბაღში ოქრო ბრწყინავს,
ზოგან—შუქი შინდისფერი.

აქ ვაშლები წითელ ლოყებს
მზეს უშვერენ დასაოცნად,
იქ ატამი მკრეფელს ელის,
ალარ უნდა ტოტზე მოცდა.

აგერ სიო დაფაცურდა,
ჩამოყარა ბევრგან ხილი.—
წამოხტა და ბაღისაკენ
ეეფით გარბის ცუგო ფრთხილი.
მაგრამ ცელქებს არ აშინებს
ჰაწაწინა ცუგოს ეეფა
და ბაღისკენ იჩქარიან
მწიფე ხილის ასაკრეფად.

გიორგი ქაჯაია

მშიშარა ფიდო

არ უყურებთ ციცქნა ფიდოს!
უნდა თოფი გადიკიდოს
და წავიდეს ტყეში მცველად,
მოჰკლას მგელი, მოჰკლას მელა:
რომ ბაჭიებს თავისუფლად
დარჩეს ტყე და ველი სულ მთლად,—
მაგრამ ღამე ველარ დადის,
ეშინია თურმე კატის.

ნიკოლოზ ჩაჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭკუიანი პასუხი

მშიერი მგელი ტყეში დაწანწალებდა.

ფარას მოწყვეტილი ბატკანი კი იმავე ტყის პირას ნამიან ბალახს სძოვდა.

მგელს სუნი ეცა. გამოვარდა ტყიდან და ბატკანს თავს დაადგა.

მგელი მოხიბლა ბატკნის უწყინარმა და მშვიდმა შესახედაობამ.

„მაინც ვერსად წამივალ“, — იფიქრა, — „მოდი, ჯერ გამოველაპარაკები, მერმე კი კბილის ერთი გაკვრით გადავსანსლავ“.

მგლის დანახვით შეშინებული ბატკანი ერთ ადგილზე იდგა და ფიქრობდა თავის გადარჩენაზე.

ამ დროს მგლის ხმა მოესმა:

— როგორ ხარ, ბატკანო?

— თუ არ შემჭამ, კარგად ვარ, — მიუგო ბატკანმა.

მგელს მოეწონა ბატკნის პასუხი, გაიცინა და თავისთვის სთქვა:

„ასეთი გონიერი ბატკნის შეჭმა არ შემერგებაო,“ — და ტყეს შეაფარა თავი. ბატკანი კი ფარას შეუერთდა.

ბორის ჩხეიძე

ნახატი **გივი გულისაშვილისა**

იშვიათი გადარჩენა

საბჭოთა გემი „ყუბანი“ ამერიკიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. მძიმე ტვირთი მოჰქონდა. დიდი ოკეანის ჩრდილო ნაწილში რომ შეიჭრა, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც უზარმაზარ ზვირთებად აქცია წყლის უსაზღვრო სივრცე.

მეზღვაურები დაფაცურდნენ ქარიშხალთან საბრძოლველად. ამ დროს ვეებერთელა ზვირთი გემს თავზე გადაევლო და გემბანზე მომუშავე ერთი მეზღვაური გაიტაცა. დახმარების გაწევა შეუძლებელი იყო. მრისხანე ზვირთთა შორის მოქცეული მეზღვაური უიმედოდ ცდილობდა თავის გადარჩენას.

რამდენიმე წუთის შემდეგ გემისაკენ მეორე დიდი ზვირთი წამოვიდა, მეზღვაური წამოიღო და გემს დააჯახა. მეზღვაური არ დაიბნა, მამაცობა გამოიჩინა და გემბანის სახელურს წაავლო ხელი. მას შეგობრები მიეშველნენ. მალე ზვირთი გემს გაშორდა და მეზღვაური გადარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი გლეხი

ძველი დროის ამბავი

განსაცდელში ჩავარდნილი გლეხი, რომელსაც მევახშე ტყავს აძრობდა, ერთ ძველ ნაცნობთან მივიდა და შეევედრა:

— ჩემო დიმიტრი, დამიხსენი ამ უბედურებისაგან, მასწავლე, როგორ მოვიქცე! მეც კაცი ვარ და ვინ იცის, იქნებ რაიმეში გამოგადგეო.

დიმიტრიმ დაწვრილებით გამოჰკითხა გლეხს საქმის ვითარება და მერე უთხრა:

— ჩემო კარგო, წერა იცი?

— არა, წერა-კითხვის არაფერი მესმის, მე საბრალოს! — ნაღვლიანად მიუგო გლეხმა.

— ოო, ეს კი ცუდია, გეთაყვა, მარტო სწავლება როდი კმარა, მთელი საქმე მე უნდა მოვაგვარო! — განგებ გააზვიადა საქმე დიმიტრიმ და მერე ცხვირაწევით დაუმატა: — რა გაეწყობა, ახლა მე დაგიხსნი ამ განსაცდელისაგან, მაგრამ იცოდე და ამის შემდეგ დახმარება არ დაგჭირდეს. თანაც საქმის მოგვარებისათვის საჭიროა გასამრჯელოც.

გასამრჯელოს ხსენებაზე გლეხს ფერი ეცვალა. მაინც თავაზიანად გამოეთხოვა დიმიტრის და შინისაკენ გასწია. გზადაგზა გულნატკენი გლეხი ხშირად იმეორებდა:

— გაბღენძილა, გადაგვარებულა ჩემი ძველი ნაცნობიო.

* * *

გავიდა წლები.

ერთხელ მდინარის პირას მომუშავე გლეხს თავს წაადგა იგივე ძველი ნაცნობი — დიმიტრი. მან ჯერ ადიდებული მდინარის ტალღებს გაუსწორა თვალი და მერე გლეხს მიმართა:

— მეგობარო, გალმა მხარეს გასვლა მინდა და როგორმე გამიყვანეო.

გლეხმა დაუყოვნებლივ ახსნა მდინარის პირას დაბმული ნავი. დიმიტრი გვერდით მოისვა, საჭე მოიმარჯვა და ნავი ბეჯითად შეაცურა განიერ მდინარეში.

მიაღწიეს თუ არა მდინარის შუა ნაწილს, აზვირთებული ტალღა ნავს დაეჯახა... ნავი გაიბზარა.

შეშინებული დიმიტრი სასაცილოდ იფოფრებოდა და შველას სთხოვდა გლეხს. გლეხმა დინჯად გადახედა მას და უთხრა:

— უკვე ნავი იძირება, ვილუპებით ორივენი... ჩემო კარგო, ცურვა იცი?

— არა, ცურვის არაფერი გამეგება, მე უბედურს! — დაიკვნესა თავზარდაცემულმა დიმიტრიმ.

— რა გაეწყობა, — უპასუხა გლეხმა, — ახლა მე დაგიხსნი ამ განსაცდელისაგან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაგრამ იცოდე და ამის შემდეგ დახმარება არ დაგჭირდეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სამშვიდობოს გასული დიმიტრი გადაეხვია გლეხს, მხურვალედ გადაკოცნა და უთხრა:

— შენ ჩემი სიცოცხლისათვის განსაცდელში ჩააგდე საკუთარი სიცოცხლე; რას ინებებ ჩემი გადარჩენისათვის?

— არაფერს,—მიუგო გლეხმა,—მხოლოდ ეს ორიოდე სიტყვა დაიმახსოვრე:

დანერგე საქმე კეთილი,
მგზავრს მიუთითე გზა, ხიდი,
უერთმანეთოდ არ ვარგა
არც პატარა და არც დიდი.

მიხეილ ლერქაპა

ნახატები **ლადო გუდიაშვილისა**

მექუდე და მაიმუნები

ერთი ინდოელი სოფლელი მექუდე ქალაქიდან შინ ბრუნდებოდა. ქუდები, რომლებიც ვერ გაეყიდა, უკანვე მიჰქონდა. დასასვენებლად ტყის პირად შეჩერდა. წაბლის ხის ძირში მიწვა და დაიძინა... როცა გაეღვიძა, სახტად დარჩა: ქუდები აღარსად იყო. დაიწყო ბუზღუნი... ამ დროს მაღლიდან ხმა შემოესმა. აიხედა და ხეზე მაიმუნები დაინახა. ქუდები მათ წაეღოთ და თავზე ეხურათ. მექუდე მაიმუნებს დაემუქრა: ქუდები დამიბრუნეთო. მაიმუნებმა კი მანჭვა-გრეხით უპასუხეს. ახლა მექუდემ ქვა ესროლა იმათ, მაგრამ სამაგიეროდ მაიმუნებმა წაბლი დააყარეს თავზე. ბოლოს გაბრაზებულმა მექუდემ ქუდი მოიხადა და მიწას დაახეთქა:—აი, თქვე გასაწყვეტლებოო,—წამოიძახა მაიმუნების მიმართ. მაიმუნებმაც მოიხადეს ქუდები და მიწას დაახეთქეს. გაკვირვებულმა და გახარებულმა მექუდემ საჩქაროდ აკრიფა ქუდები და გზას გაუდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსი
გიორგი ალავიძისა

სტუმარ-მასპინძლები

ნახატი
ბელა ალადაძისა

დაცხა, როგორ ძლიერ დაცხა,
შინ და გარეთ ყველგან ცხელა!
ქალაქიდან პატარები
გაიერიფენ ნელა-ნელა.
მარტო როგორ უნდა გაძლოს,
ახლო ტოლი აღარა ჰყავს!
და პირველად ჩემი ჩინოც
გაემგზავრა ოკარაკად.
ყველაფერმა გაიკვირვა,
არ ენახა ჯერ სოფელი,
სახლს შეხედა გოლეებით,
ეფეხოცა მეზობელი.
კოინდარზე დაჯდა ხასკვეშ,
გადაიარდა მორგვითა.
უცებ ღეღეში დაიყვირა:
„ქალაქელ მოგვიყიდა!“
შეკეცა და გაძოქანდა,
პირველობა დაიჭერა.
ყვავილები ყოველს მოჰკენენ,
ვარიები ტაბისკენეს.
ინკოორში დაიყვირა,
გადიხარა ეფიფეხით.
ეცხო სტუმრის გასაცნობად
წიწილებით გარბის კრუნი.
და ეთვალიე ოქროს წიწილს
ირგვლივ გაიქეს წიაწია.
ბალახებში დაიფანტენ,
ყველამ ვერც კი მიაღწია.
წყლის გუბეში ბატი იწვა,
წითლად უნდა წყალში წინდა,
„სტუმარი“ რომ გაიგონა,
სიხარულით ისისინდა,
ამოვბაყდა, ფფრთენენდა,
სტუმრის ნახვა მისაც უნდა.
ოქროსფერი,
თოფლისფერი
ბუბულები გაჰყვა გუნდად!
—ჩვენ არ ვნახოთ? ბატეა ნახა!—
იხვმა ინებს გადასახა.
— ვნახოთ...
ვნახოთ...—გაჰყვირიან,—
ვიხი, ხი .. ხი...
ვიხა... ხა... ხა...
გოჭი უსმენს გოლეებით:
— ეს რა აურზაურია!
ან კრუხისთვის,
ან ბუსისთვის
ძერას ხომ არ ჩაუვლია! —
ჰკვირის გოჭი, გაბრაზს გოჭი.
თიკანს უყვირს: —ალბათ ჭვიათ,
თორეს, რატომ ბზუოროზენ,
რა შეოთი და განგაშია!—
გოჭს თიკანი მიჰყვა ეკან
კოკინთ და ბაკა-ბეკით.
— რას ჰკვირიან, სად მირბიან?—
ბოლოლას და ბატკანს ეკვირთ.
და ისინიც გოჭს და თიკანს
შორა-ახლო მოჰყვენ ზეკარად,
ხესთან, სადაც, ჩინოს ირგვლივ,
ყველას თავი მოეყარათ.
ჩინო ეაცხვის ჩეროში ზის,
არ აწუხებს ზნის აღმერა,
წიწილებს და ბრეულ-ბრეულ ბუკებს
ირგვლივ გაიკვეთ ერიმული.

ფეხთან ღეკეი გასწოლია,
ცდილობს, მისწვდეს სტუმრის
ლოყას,
აღერსი სურს, მორიდებით
კუდს უქნევს და ფეხს ეალოკავ.
ეს რა ჩემი კრუტენია,
რა ხმა ისმის კინტი კენტი!
ბავშვს კალთაში ჩაეხვეია
ტანტალეული კატის ბრუტი.
ზის და ჩუმად შეჰყურებენ,
თან ეკონის თვალი მწვანე:
— თაგვებს გაეწყვეტ. როცა წა-
ხვალ,
მეც ქალაქში წამიყვანე.
სათვალეებს გადაეთვეს,
ჩხირით გიჭოდ ლამაზ წინდას.—
უცებ ღეკეში დაიყვეთ:
— მეც ქალაქში წასვლა მინდა!
— ჩვენც იქ ვგონდა!—
ბუბულები
აცხადებენ ერთბაად სურვილს.
— ჩვენ ბილეთი როდი გვინდა,
გამოგვყვებით მტკვარზე ცურვით.—
ქალაქში სურთ, სტუმრობა სურთ,
ყური ეუდეთ ხმის და თიკანს:
— თუნდ „ბაგიდად“ გაგვეყოლე!
ორთქლმავალი ხომ წაგვიყვანს!
თითქო უკვე თბილისშია,
ჩინოს სახლში მისულია,
ნაადრევი სიხარულით,
თვალებს ნაბიჯს ფისენია.
ხელზე თოფს ეკაცუნებს,
მოფერებას ჩემად ბედავს,
მაგრამ ფისომ ბასრი ბრჭყალი
ჩინოს გაჭრა ეკაბედად.
გაეღებინა და, იმ წამსვე,
ხელს დაანდა სისხლის დღი,
ფეხს ეაანდა ბალბის ბალი.
ფისო დაფრთხა, გაიპარა,
მორბის ფეხა, მორბის ბეგი,
წიწილებიც, ბუბულებიც
კინზე გადგნენ მორიდებით.
და სანამ ბავშვს აწუხარებენ,
მოელი ეზოს შესაძრავად,
ინდოური გაიძახის:
— თბილისს სტუმრად ყველა წა-
ველთ.
გოჭი სტეფეის, ბატი ჰკვირის:
— ფასო გლახა, მართლა გლახა!
და იხვები ბანს აძღვენ:
— ხი, ხი, ხი,
ვიხა, ხიხა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულუბრყვილო ნანა

მოთხრობა

ცისფერთვალებიან გოგონას, პატარა ნანას, ძალიან უყვარს თავისი დედოფალა, პატარა ცუგრია და ბანჯგვლიანი დათუნია. ნანა სიყვარულით უვლის მათ, ეფერება, ეთამაშება. ან როგორ არ უნდა უყვარდეს ისინი, როდესაც ქერათმიანი, ლამაზ ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი დედოფალა სულ თვალებში შესცქერის მას, თითქოს მზად არის, რასაც ეტყვის ყველაფერი აუსრულოსო. ან-და ცუგრია. ის ხომ ჭკვიანი ძაღლია! ყურებდაცქვეტილი და ყელმოღერებული ზის იგი ჩუმად. ასეთივე კარგია დათუნიაც, არც იკბინება, არც იღრინება, მხოლოდ კბილები დაუკრეჭია და, როდესაც შეხედავ, არ შეიძლება არ გაგეცინოს.

ნანას მეზობლად ერთი ბიჭუნა ცხოვრობს. თამაზი ჰქვიან სახელად. ნანაზე ორი თუ სამი წლით უფროსია. ცელქია, ისეთი ცელქი, რომ თავის სათამაშოებში თამაზს გაუტეხავი არაფერი არ გადაურჩა. მას ჰყავს ცხენი, ოღონდ ეს ცხენი სამფეხაა და კუდიც მოგლეჯილი აქვს. მის ველოსიპედს საჭე და ცალი ბორბალი ჩაზნექილი აქვს, ამის გამო, როდესაც თამაზი ზედ ზის, უცნაური ბარბაცით მიგოგავს ხოლმე. მან თავისი სათამაშოები დაამტვრია და ახლა სხვისაზე უჭირავს თვალი. როდესაც თამაზი ნანასთან ვიდის, უნდა ხელში აიღოს ნანას ლამაზი დედოფალა და, კი არ ითამაშოს, არამედ თავი მოაძროს და შიგ ჩაიხედოს, რომ ნახოს, თუ რა არის მასში. ცუგრიას კი კუდი მოაგლიჯოს და კარგად გასინჯოს, როგორ არის ეს კუდი ზედ მიმაგრებული. განა თამაზიმ თავის ცხენს სწორედ ასე არ მოაგლიჯა კუდი! სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ნანა ნებას არ აძლევს თამაზს, ხელი მოჰკიდოს მათ.

ერთ დღეს ეზოში მოხუცი კაცი შემოვიდა და პატარა ცხოველები — ცუგრია და დათუნია შემოიყვანა. დათუნიას რკინის წვრილი ჯაჭვი ყელზე ჰქონდა მიბმული და ჯაჭვის მეორე ბოლო მოხუცს ხელში ეჭირა. ცუგრია და დათუნია ეზოში კარგა ხანს ათამაშა. აივნებიდან და ფანჯრებიდან დიდი და პატარა უცქეროდა ამ თამაშს.

პატარა ნანა ხედავდა, რა მაღლა ხტებოდა ცუგრია ჰაერში, როდესაც მოხუცი ეტყოდა შეხტიო. ცეკვავდა დათუნიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუგრია ყეფდა და დათუნია კი იღრინებოდა.

თამაში გათავდა. წავიდა მოხუცი, თან წაიყვანა თავისი ცხოველები, მაგრამ პატარა ნანას გულში მოგონებად ჩარჩა მოხუცის ძაღლი და დათვი.

მეორე დღეს, თამაშის დროს, ნანამ გაახსენა თამაზს წინა დღეს მათ ეზოში შემოსული მოხუცი და ნაღვლიანად ჰკითხა:

— ჩემი ცუგრია რატომ არ ყეფს, რატომ არ ხტის? დათუნიაც არ იღრინება, არც დადის.

თამაზს უნდოდა, როგორც დიდსა და მცოდნეს, დაცინვით ეთქვა, რომ მოხუცის ცხოველები ცოცხლები არიან, ნანას ცუგრია და დათუნია კი არ არიან ცოცხლები, მაგრამ იმ მოუსვენარმა ეშმაკობა განიზრახა.

— იცი, ნანიკო, — მოწყენით უპასუხა თამაზიმ, — შენი ცუგრია და დათუნია ავად არიან!...

ამ სიტყვების გაგონებაზე პატარა, გულუბრყვილო ნანას ლამაზ ცისფერ

თვალებზე ცრემლი მოადგა. ძლიერ ეწყინა ჭკვიანი ცუგრიასი და სასაცილო, მაგრამ საყვარელი დათუნიას ავადმყოფობა.

— არაფერიც არ იქნება, — დაამშვიდა ისევ თამაზიმ, — კარგად უნდა მოუარო და მორჩებიან. იცი, ნანიკო! მე რომ ავად ვიყავი, არც ჭამა მინდოდა, არც ლაპარაკი, არც სიარული. სულ ლოგინში ვიწექი. დედიკომ ზღვაზე წამიყვანა. იქ ჯერ ზღვის აბაზანებს ვიღებდი, მერე მზის აბაზანებს!

— აბაზანები რა არის? — მაშინვე განცვიფრებით იკითხა ნანამ.

— აბაზანა? — რიხით წარმოსთქვა თამაზიმ და ერთი წამით შეჩერდა. გაუჭირდა განმარტება. პატარა ხნის ფიქრის შემდეგ უბრალოდ უთხრა: — ზღვაში ბანაობა — აბაზანაა, მზეზე წამოწოლაც — აბაზანაა! სულ ყველაფერი აბაზანაა, რაც ავადმყოფს არჩენს.

ნანამ მაშინვე წამოიძახა!

— მე დედას ვეტყვი, რომ ზღვა მიყიდოს და მზის აბაზანაც მომიტანოს!

— ზღვას როგორ გიყიდის! — სიცილი დააყარა თამაზიმ, — ზღვა წყალია, წყალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც ბევრი გვაქვს. ვაბანაოთ ცუგრიაც, დათუნიაც, დედოფალაც, მერე მზეზე დავაწვინოთ და სამივენი მოარჩებიან!

— დედოფალაც ილაპარაკებს? — იკითხა ნანამ.

— მაშ, ილაპარაკებს!

— შესჭამს კიდეც?

— კი, შესჭამს! მართლა გეუბნები!

პატარები ზღვისაგან შორს იყვნენ, მაგრამ სამზარეულოში ხომ იდგა წყლით სავსე სარეცხის დიდი ვარცლი! მათ აღარ დაუყოვნებიათ, პატარა „ავადმყოფები“ სამზარეულოში შეარბენინეს, ჩასვეს წყალში და დიდხანს სრესდნენ შიგ. განსაკუთრებით მოუსვენარი თამაზი ძალიან გულმოდგინედ სრესდა ხან დედოფალას, ხან ცუგრიას, ხან დათუნიას.

ასეთი აბაზანების შემდეგ გარეცხილ-გაჭეჭყილი სათამაშოები აივანზე გაიტანეს და, მზის აბაზანების მისაღებად, მხურვალე მზეზე დააწყვეს.

ამ დროს თამაზიმ მოიმიზეზა, დედა მეძახისო, და შინ წავიდა.

ზაფხულის შუადღე იყო. მზემ თავისი მცხუნვარე სხივებით მალე გააშრო და დახრუკა ეს პატარა სათამაშოები. როდესაც ნანამ თავის დედოფალას, ცუგრიასა და დათუნიას შეხედა, თავზარი დაეცა.

დედოფალას აღარ ჰქონდა თავისი ლამაზი, შავი თვალები, აღარც კოხტად მოყვანილი ვარდისფერი ტუჩები, აღარც წარბები და წამწამები. ცუგრიას კი, საცოდავ ცუგრიას, მხოლოდ აცქვეტილი ყურები-ღა უმტკიცებდნენ, რომ ეს ოდესღაც ცუგრია იყო. საწყალ დათუნიასაც შესცვლოდა ფერი. ასწეწოდა და დაჰგრეხოდა ბანჯგვლები, დრუნჩში კბილები აღარ ემჩნეოდა.

სწუხდა პატარა ნანა... ვიღასთან უნდა ეთამაშნა მას! აღარც დედოფალა ჰყავდა, აღარც ცუგრია, არც დათუნია. სწუხდა პატარა ნანა, ვიდრე მამამ ახალი სათამაშოები არ უყიდა. მერე კი მიხვდა გულუბრყვილო ნანა, მიხვდა, რომ მოატყუეს; მაგრამ ახლა უკვე ჭკუა ისწავლა: სხვა დროს ყველაფერს დედიკოს შეეკითხება და მუდამ ისე მოიქცევა, როგორც ის ეტყვის და დაარიგებს.

ელიზბარ ზედგინიძე (პოლუმორდვინოვი)

ნახატები გ. თაგორაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოროტი და ძუნწი

ზღაპარი

მინდა გიამბოთ ჩვენი სოფლელი ორი კაცის — ყაფლანისა და ყარამანის თავგადასავალი.

ყაფლანი ქაჩალი იყო და თან დიდი ძუნწი გახლდათ: სხვისთვის ჭიან ტყემალსაც არ გაიმეტებდა.

ყარამანს სხვისი კარგი შურდა. ერთხელ მან მეზობლის კალოსთან დადგმული ძნა დაინახა. შურმა შეიპყრო და ძნის დაწვა გადასწყვიტა. შუაღამისას კალოსთან მიიპარა, ასანთით ქაღალდს ცეცხლი მოუკიდა და ძნასთან მიიტანა. უცებ ნიავმა დაჰქროლა და ალი ყარამანისაკენ მიაბრუნა. ბოროტ ყარამანს თმაზე ცეცხლი მოედო და თავი გადაეტრუსა. იმ დღიდან იგი ქაჩალი დარჩა.

ერთ დღეს ორი ქაჩალი — ყაფლანი და ყარამანი ერთმანეთს შეხვდა და თავიანთ გაჭირვებაზე ლაპარაკობდნენ. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა თვალის მომჭრელი სილამაზის მზეთუნახავი.

— სირცხვილია, რომ ასეთ კარგ ვაჟკაცებს თავზე თმა არა გაქვთ. — სთქვა მზეთუნახავმა, — მაგრამ თუ პირობას მომცემთ, რომ დღეიდან ერთი თქვენგანი ბოროტი აღარ იქნება, მეორე კი — ძუნწი, მე გასწავლით ხერხს, რომლითაც თმა ამოგივათ.

— თანახმა ვართ! — ერთხმად შესძახა ორივე ქაჩალმა.

— რომელი თქვენთაგანიც პირობას უკეთესად შეასრულებს, მას ცოლად გავყვები!

— გვითხარი, როგორ მოვიქცეთ! — კვლავ მოუთმენლად წამოიძახეს ქაჩლებმა.

მზეთუნახავმა დაარიგა ისინი:

— აღმოსავლეთისაკენ წახვალთ, შვიდ მთას გადაივლით და შვიდი ულრანი ტყე შეგხვდებათ. აი, ეს არწივის ფრთა წაიღეთ, ყოველ ტყესთან ეს ფრთა ამოიღეთ ხოლმე და თქვით:

„ტყეო ტყემლისა, დედა ხარ ჩვენი,
შენს შვილობილებს გზა გაგვიხსენი.“

ტყე მაშინვე გზას მოგცემთ და თავისუფლად გაივლით. მეშვიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის თავზე პატარა გორაკია და იმ გორაკზე წყარო ამოჩუხჩუხებს. დაიბანთ იმ წყაროს წყალით თავს და თმა ამოგივათ! — ესა სთქვა მზეთუნახავმა და გაჰქრა.

მოიკიდა გუდა-ნაბადი ორმა ქაჩალმა, თან ორი თვის საგზალი წაიღეს და გზას გაუდგნენ. ერთ კვირაში გადაიარეს შვიდი მთა, ორ კვირას მოუნდნენ ექვსი ტყის გავლას და, მეშვიდეს რომ მიადგნენ, ერთი უბრალო გზის სავარცხელი დაინახეს.

ორივე ერთად დასწვდა და სავარცხელი აიღო.

— ამას, მე, მეექვსე ტყის დასაწყისიდან ვხედავდი, ჩემია! — სთქვა ყარამანმა.

— შენ მდიდარი ხარ, ასეთი სავარცხლის ყიდვა არ გაგიძნელდება! — მიუგო ყაფლანმა.

ვერ მორიგდნენ და ჩხუბი მოუვიდათ.

დიდხანს სცემდნენ ერთი-მეორეს. როცა დაიღალნენ, შეჩერდნენ, მაგრამ, მათ საუბედუროდ, არწივის ფრთა ჩხუბის დროს სულ მთლად დაგლეჯილიყო და მისი ბეწვები ქარს მიჰქონდა. სავარცხელი კი იქვე შორიახლოს ეგდო.

ამ დროს გაჩნდა საიდანღაც მზეთუნახავი.

— ბოროტი და ძუნწი ადამიანი იმაზე უარესის ღირსია, რაც თქვენ გჭირთ! — უთხრა მათ მზეთუნახავმა და გაჰქრა.

ქაჩლებმა მეშვიდე ტყე ვეღარ გაიარეს და დაღონებულები შინ დაბრუნდნენ.

ახლა უთმო ყარამანი ცდილობს, როგორმე გამოისყიდოს თავისი დანაშაული, მიიტანს ხოლმე სავარცხელს და ყაფლანის ეზოში გადააგდებს. ყაფლანსაც სურს ძუნწი აღარ იყოს, სავარცხელს ყოველდღე უკან უბრუნებს ყარამანს, მაგრამ გვიანღა არის!

ჩვენი სოფლის მცხოვრებლები კი ხშირად, სიცილით იგონებენ, თუ ორ ქაჩალს როგორ მოუვიდა ჩხუბი სავარცხელზე.

გიორგი ივანიშვილი

ნახატები **ლადო გუდიაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუგო და ფისო

ი გ ა ვ ი

ერთმა ცინდალმა დედას წიწილა მიურბენინა:

— ყოჩაღ, შვილო, სად იყო?— ჰკითხა გახარებულმა ფისომ.

— მეზობლის ეზოში მოვიტაცე, კრუხს ძლივს გადავურჩი...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ძალიან გიმარჯვნია,—შეაქო ფისომ.

იქვე მდგომმა ცუგომ ვეღარ მოითმინა და შეუყეფა:

— ჰამ, ჰამ, ჰამ, როგორ აფუჭებ შვილს, ჰამ, ჰამ...

— რა გინდა, ცუგო, რას დაეძებ, ჩვენი პატრონისათვის ხომ არ მოუპარავს?!

— როცა სხვაგან ვეღარაფერს იშოვნის, მაშინ ალარც ჩვენს პატრონს დაზოგავს,—უპასუხა ცუგომ.

კატამ ძაღლის ლაპარაკს ყური არ ათხოვა და მკვდარი წიწილა დედაშვილმა გემრიელად შეახრამუნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ გაწუწკებული ცინდალი თავისივე პატრონის ეზოში ახლად გამოჩეკილ წიწილებს თავზე დაახტა და ერთ-ერთ წიწილას შეჭმა დაუპირა. გაცხარებული კრუხი ქოთქოთით მივარდა პატარა მტაცებელს და ნისკარტით ორივე თვალი გამოსთხარა.

— მიავ, მიავ, მიშველე დედავ... —კნაოდა მომაკვდავი ცინდალი.

— ვაიმე, ჩემო დაბრმავებულო და დაღუპულო შვილო, — წამოიძახა ფისომ და შვილს თვალცრემლიანი დასცქეროდა.

— შენ, შენი შვილი მაშინ დააბრმავე და დაღუპე, როცა პირველად იგი ცუდი საქციელისათვის შეაქეო, —მიუგო იქვე მდგომმა ცუგომ.

ქ. გოგიაშვილი

ნახატები ვახტანგ ერისთავისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

როგორ უნდა დავხატოთ ბუ და ბაყაყი



აიღეთ ორშაურიანი, აბაზიანი, ფანქარი და ქაღალდი. დაიწყეთ წრეების შემოხაზვა. თანდათანობით დაუმატეთ ის ხაზები, როგორც ზემოდ მოთავსებულ სურათზეა ნაჩვენები, და საბოლოოდ დახატავთ ბუს.

ასევე დახატეთ ბაყაყიც.

პ ა ს უ ხ ე ბ ი

„ოქტომბრელი"-ს № 9-ში მოთავსებულ გასართობებზე

ასანთის ხუთმეტი ღერით

ხუთმეტი ასანთის ღერისაგან შედგენილ ფიგურას, რომელიც „ოქტომბრელი"-ს № 9-ში დაიბეჭდა, რომ მოვაკლოთ სამი ასანთის ღერი, მივიღებთ ასეთ ფიგურას:



რებუსის ახსნა

ჟურნალი „ოქტომბრელი"-ს № 9-ში მოთავსებული რებუსი წაიკითხება ასე: „ყურძენი გემრიელია".

ასანთის ცხრა ღერით

აი, როგორ უნდა დავალაგოთ ასანთის ცხრა ღერი, რომ მივიღოთ ოცდათექვსმეტი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანები

შედგენილი ალ. საჩინოელის მიერ

1. უსულოა, მაგრამ ჰყვირის
   და მისი ხმა ადის ცაში,
   დილით მუშებს მოუწოდებს
   სამუშაოდ ქარხანაში.

2. ცულდი, ხერხი თუ კერია—
   ყველა იმისი მტერია.

3. ერთი რამე მაღვიძარა,
   თავხერხაა და მყივარა.

4. ერთი რამე ტკაცუნა, მალი,
   თაგვს ისე იჭერს, არ უნდა ბრჭყალი.

5. იგი ავდრის დროს ვარდება,
   მძლეა და დიდი ხმიანი,
   მას ერიდება ყოველი:
   მხეცი თუ ადამიანი;
   რასაც მოხვდება, დაამსხვრევს,
   მოაქვს ვნება და ზიანი.

ანდაზები

1. ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

2. კარგი შვილი მშობლის გულის გამხარებელია.

3. ცხრაჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი.

4. ცოდნა ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს.

5. თუ კაცი კაცად არ ვარგა, ვერ არგებს გვარიშვილობა.

6. ციხე შიგნიდან გატეხებაო.

7. მელა კვდებოდა და თავი საქათმესაკენ მიჰქონდაო.

რებუსი

1811/222

13/222

ი. კრილოვი

მელა და ყურძენი

დამშეული კუდა-მელა
ვენახში მიიპარება...
მიცუნცულებს ნელა-ნელა,
ღობე-ყორეს ეფარება.
ბოლოს შეძვრა... ნახა კარი,
მაგრამ აზრი-კი წაუხდა:
ბალი იყო სულ მაღლარი
და დაბლარი არ დაუხვდა.
ყურძენი რომ მაღლა ნახა
მიმწიფებულ-მინაბდული,
დაუღო მას წუწკმა ხახა,
აუძგერდა მსუნაგს გული.
მაღლა-მაღლა იყურება,
იგრიხება, იწურება...
ხან დაწვება, ხან ადგება,
ნდომის ნერწყვი პირს ადგება;
სწორედ ქირის დღე დაადგა,
დაიქანცა, დაიღალა,
მაგრამ ალარ გამოადგა
ალარც ხერხი და არც ძალა.
დარჩა ამოძუებული...
მაგრამ ალარ გაიტეხა
კუდიანმა ვითომ გული
და ურცხვად ეს დაიკვეხა:
„რომ არ ვჭამე, კარგი ვქენი,
გეფიცებით წვილებსაო;
მკვახე იყო ის ყურძენი
და ძომკვეთდა კბილებსაო.“

თარგმანი აკაკისა

გამომცემლობის № 5 სტამბის შეკვ. № 19 ტირაჟი 7000. უე 00754 ფასი 5 მან.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ ქვეყნის მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.